

## SRSPA კონფერენცია

### სტუ-ს პროფესორის აღიარება ჩინეთში

24-30 სექტემბერს ჩინეთის ქალაქებში გუიანში (გუიჩჟოუს პროვინცია) და ლაოჩენში (შინდუნის პროვინცია) გაიმართა საზღვარგარეთის მაღალი დონის ტალანტების გაცვლის კონფერენცია - “Conference of exchange of overseas high-level talents”. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების თანამშრომლობის პრაქტიკული ხელშეწყობა.

SRSPA - სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკების, „აბრეშუმის გზის“ ზონის მაღალი და ახალი ტექნოლოგიების ასოციაციის (The Association of scientific and technological parks and areas of high and new technologies «Silk Road») მიწვევით და სრული დაფინანსებით იმყოფებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ვიქტორ ზვიადაური.



სერტიფიკატები ექსპერტად დანიშვნის შესახებ (ჩინეთი, 2017)


ქართველი პროფესორის მიერ წარმოდგენილი თემატიკა შეეხებოდა სამთო მანქანების და ტექნოლოგიების პრობლემატიკას, კერძოდ, ვიბრაციულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებში და ასევე, სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში მეცნიერული კვლევის მიდგომებსა და ტექნიკურ შედეგებს.

კონფერენციის ორგანიზატორებმა პროფესორ ვ. ზვიადაურს გადასცეს ექსპერტად დანიშვნის სერტიფიკატები, რაც რეალურ შესაძლებლობას იძლევა მომავალი პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარებისათვის.

პროფ. ზვიადაური მიწვეული იყო ლეაოჩენის მრავალპროფილიან უნივერსიტეტში, სადაც განხილული იქნა უცხოელი ლექტორების (აკადემიკოსების, პროფესორების,

დოცენტების) გარკვეული ვადით მიწვევის არსებული პრაქტიკა უნივერსიტეტში, შესაბამისი საუკეთესო სოციალური და ფინანსური პირობებით.

ქართველი მეცნიერის ზემოაღნიშნულ ღონისძიებაზე მიწვევა მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მისი აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით ისეთ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე, როგორცაა: ACMME 2013 - აზიის მანქანათმშენებლობისა და მასალათმცოდნეობის კონფერენცია (ჩინეთი, 2013); XI საერთაშორისო კონფერენცია “ტექნიკური სისტემებისა და ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლივი გამოყენებისა და ხარისხის გაუმჯობესება“ (ისრაელი, 2013); WASET - მეცნიერებისა, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემია (საფრანგეთი, 2011); WCECS 2010 - ინჟინერიისა და კომპიუტერულ მეცნიერებების მსოფლიო კონგრესი (აშშ, 2010); WCE 2010 - ინჟინერიის მსოფლიო კონგრესი (ინგლისი, 2010) და ა.შ.



მთავარი (Keynote) მომხსენებლის სერთიფიკატი (ჩინეთი, 2013)